საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო

თქვენი 2021 წლის 1 თებერვლის #760/01 წერილის შესაბამისად გაცნობებთ, რომ შპს ,,მშენებელი 2020"-ს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი მდ. ჯუმის კალაპოტიდან დაშორებულია 20 მეტრით. თუმცა, უშუალოდ საწარმოო დანადგარები, კერძოდ კი მდ. ჯუმის კალაპოტის კიდედან ყველაზე ახლოს მდებარე სამსხვრევი დანადგარის დაშორება შეადგენს 50 მეტრს. ხოლო, სხვა დანარჩენი მოწყობილობების განთავსების ტერიტორია მდინარე ჯუმის კალაპოტიდან დაშორებულია 50 მეტრზე მეტი მანძილით.

ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საწარმოს თითოეული დანადგარის განთავსების შესახებ GPS კოორდინატრების სახით.

#	დანადგარის დასახელება	GPS კოორდინატები	
		X	Y
1	მიმღები ბუნკერი	736646	4706185
2	ჰორიზონტალური საცერი	736648	4706182
3	ქვიშის გამრეცხი დანადგარი	736645	4706177
4	სამსხვრევი დანადგარი	736656	4706174
5	საცერი	736648	4706167

რაც შეეხება, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას, გაცნობებთ, რომ საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე დაცული იქნება ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, საწარმოო დანადგარების მოწყობა ან/და შემდგომში საწარმოს გაფართოება წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში დაგეგმილი არ არის. ასევე, დაგეგმილი პროექტის განხორციელება მდინარის წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეული

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 1557
05 02 2021
2 ფ.
+ 02 +

მოპოვებას და რაიმე ტიპის კომუნიკაციის გაყვანას არ ითვალისწინებს. ამასთან, საქმიანობის განხორციელების ყველა სტადიაზე საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის მდინარის სანაპირო ზოლის ფარგლებში, მდინარე ჯუმისა და მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების გამორიცხვის მიზნით გატარებული იქნება შესაბამისი გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

პატივისცემით

ლაშა ბარამია

დირექტორი

შპს „მშენებელი 2020“